ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 6

დ. ლენტეხი. **07.06.2025 წ.**

მიმდინარე წლის 7ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ;

ლენტეხის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები-დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ლიპარტელიანი, გოგა შავრეშიანი, მოწვეული სტუმარი: - საფინანსო სამსახურის უფროსი ტ. ჩანქსელიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი;

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N332 განკარგულებით ცვლილების შეტანის პროექტის განხილვა.**

მომხ. ტ. ჩანქსელიანი.

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N332 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ. სპეციალური ტრანსფერის სახით ლენტეხის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 500000 ათ. ლარი. სპეციალური ტრანსფერის მთლიანი ჯამი შეადგენს1500000 ათ. ლარს. აქედან გამომდინარე ადგილობრივი შემოსავლები შემცირდა 500000 ათ. ლარით და შეადგენს 712900 ლარს. აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა მოხვდეს 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება .

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილება განხილული იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის სხდომა დასრულდა 13 საათზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ლ. გუგავა.